2023 წ.

ოპერატიული ინფორმაცია
2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-აპრილი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-აპრილის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2023 წლის 29 მაისისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, მაისი, 2023 წ.

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2023 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება **7,184.4** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,914.2 მლნ ლარი) 32.8%-ს და 6 თვის გეგმის[1] (9,993.2 მლნ ლარი) 71.9%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,525.9 მლნ ლარით (27.0%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

გადასახდელების შესრულება **6,401.6** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,880.1 მლნ ლარი) 29.3%-ს და 6 თვის გეგმის (10,002.0 მლნ ლარი) 64.0%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვარ-აპრილის მაჩვენებელს 727.6 მლნ ლარით (12.8%-ით) აჭარბებს.

2014–2023 წწ.შემოსულობებისა და გადასახდელების 4 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



შესაბამისად, იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (დაგროვება) **782.8** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი, ხოლო 2023 წლის პირველი მაისისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 2,030.3 მლნ ლარის ოდენობით.

2014–2023 წწ. 4 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)



რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** 6 თვის გეგმის მიმართ შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (74.6%), ფინანსური აქტივების კლების კომპონენტი კარგი შესრულებით ხასიათდება (62.7%), ვალდებულებების ზრდის კომპონენტი გამოირჩევა შედარებით დაბალი შესრულების დონით (57.1%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება - 6 თვის გეგმის მხოლოდ 34.5%-ია.

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები კარგი შესრულებით გამოირჩევა (6 თვის გეგმის შესაბამისად, 63.9% და 67.5%), შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს - 6 თვის გეგმის 75.8%, ვალდებულებების კლების კომპონენტი კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (55.1%).

დასახელება	2023 წლის გეგმა	6 თვის გეგმა	4 თვის შესრულება	4 თვე / 6 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	6 თვის გეგმა	4 თვის შესრულება	4 თვე / 6 თვის გეგმა
შემოსულობები	**21,914.2**	**9,993.2**	**7,184.4**	**71.9%**	**გადასახდელები**	**21,880.1**	**10,002.0**	**6,401.6**	**64.0%**
შემოსავლები	17,619.9	8,518.5	6,352.6	**74.6%**	ხარჯები	16,335.2	7,991.5	5,109.0	**63.9%**
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	86.0	29.7	**34.5%**	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	1,334.2	901.0	**67.5%**
ფინანსური აქტივების კლება	450.0	158.5	99.4	**62.7%**	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	91.9	69.6	**75.8%**
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	1,230.2	702.8	**57.1%**	ვალდებულებების კლება	1,218.5	584.4	321.9	**55.1%**

[1] 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2023 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **1,243.5** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **372.3** მლნ ლარი.



შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარ-აპრილში მიღებული შემოსავლების 86.7% და მთლიანი შემოსულობების 76.7% მოდის. კერძოდ, 4 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 5,507.5 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 71.2%-ს და წლიური გეგმის 33.8%-ს შეადგენს, ყველა საგადასახადო შემოსავალი მობილიზების მაღალი დონით გამოირჩევა და 67.6%-79.6%-ის ფარგლებში მერყეობს (განსაკუთრებით, გამოირჩევა საშემოსავლო და იმპორტის გადასახადები და აქციზი - შესაბამისად, 74.6%, 79.6% და 72.8%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 832.5 მლნ ლარით (17.8%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად 25.1%-იანი და 18.1%-იანი მატების გავლენით.



გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარ-აპრილში შეადგინა 5,109.0 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 63.9% და წლიური გეგმის 31.3%. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, 6 თვის გეგმასთან მიმართებით, შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს პროცენტის მუხლს (70.0%), კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სოციალური უზრუნველყოფის (67.3%), სუბსიდიების (65.2%), სხვა ხარჯებისა (61.9%) და შრომის ანაზღაურების (61.2%) მუხლები, ხოლო შედარებით დაბალი შესრულების დონით ხასიათდება საქონლისა და მომსახურების (58.2%) და გრანტების (57.3%) მუხლები. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 486.6 მლნ ლარით (10.5%-ით) გაზრდილია, ძირითადად, პროცენტის (151.3 მლნ ლარით), აგრეთვე, სოციალური უზრუნველყოფისა (101.9 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (101.2 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 4 თვის შესრულება	2022 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა*	2023 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის 4 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 4 თვის შესრულება / 2022 წლის 4 თვის შესრულება		2023 წლის 4 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	**7,030.1**	**5,658.6**	**21,914.2**	**9,993.2**	**7,184.4**	**-2,808.8**	**71.9%**	**1,525.9**	**27.0%**	**32.8%**
შემოსავლები	**3,844.2**	**5,044.6**	**17,619.9**	**8,518.5**	**6,352.6**	**-2,165.9**	**74.6%**	**1,308.0**	**25.9%**	**36.1%**
გადასახადები	3,440.2	4,675.0	16,290.4	7,735.9	5,507.5	-2,228.4	71.2%	832.5	17.8%	33.8%
საშემოსავლო გადასახადი	1,029.8	1,500.1	5,140.0	2,515.0	1,876.4	-638.6	74.6%	376.3	25.1%	36.5%
მოგების გადასახადი	482.3	774.7	2,000.0	1,095.0	772.8	-322.2	70.6%	-1.9	-0.2%	38.6%
დღგ	1,376.7	1,757.3	6,670.4	3,069.9	2,075.8	-994.1	67.6%	318.5	18.1%	31.1%
აქციზი	426.5	433.0	2,100.0	803.0	584.7	-218.3	72.8%	151.6	35.0%	27.8%
იმპორტის გადასახადი	24.0	30.1	130.0	55.0	43.8	-11.2	79.6%	13.6	45.2%	33.7%
სხვა გადასახადები	100.8	179.7	250.0	198.0	154.1	-43.9	77.8%	-25.5	-14.2%	61.6%
გრანტები	210.1	181.1	279.6	122.3	125.3	3.0	102.4%	-55.8	-30.8%	44.8%
სხვა შემოსავლები	193.9	188.5	1,050.0	660.3	719.8	59.5	109.0%	531.3	281.9%	68.5%
არაფინანსური აქტივების კლება	**18.7**	**34.8**	**200.0**	**86.0**	**29.7**	**-56.3**	**34.5%**	**-5.1**	**-14.7%**	**14.8%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**30.3**	**29.0**	**450.0**	**158.5**	**99.4**	**-59.1**	**62.7%**	**70.4**	**243.0%**	**22.1%**
ვალდებულებების ზრდა	**3,136.9**	**550.2**	**3,644.3**	**1,230.2**	**702.8**	**-527.4**	**57.1%**	**152.6**	**27.7%**	**19.3%**
საგარეო	3,431.8	443.4	2,244.3	530.2	430.4	-99.8	81.2%	-13.0	-2.9%	19.2%
საშინაო	-294.8	106.8	1,400.0	700.0	272.4	-427.6	38.9%	165.6	155.0%	19.5%
გადასახდელები	**7,110.9**	**5,674.0**	**21,880.1**	**10,002.0**	**6,401.6**	**-3,600.4**	**64.0%**	**727.6**	**12.8%**	**29.3%**
ხარჯები	**4,340.9**	**4,622.4**	**16,335.2**	**7,991.5**	**5,109.0**	**-2,882.5**	**63.9%**	**486.6**	**10.5%**	**31.3%**
შრომის ანაზღაურება	542.4	579.8	2,236.7	1,112.1	681.0	-431.1	61.2%	101.2	17.4%	30.4%
საქონელი და მომსახურება	482.8	569.0	2,025.5	1,034.3	601.9	-432.4	58.2%	32.9	5.8%	29.7%
პროცენტი	292.0	243.8	1,201.0	564.6	395.2	-169.5	70.0%	151.3	62.1%	32.9%
სუბსიდიები	224.3	228.1	927.6	440.7	287.4	-153.3	65.2%	59.4	26.0%	31.0%
გრანტები	188.1	226.0	1,275.8	544.6	312.0	-232.6	57.3%	85.9	38.0%	24.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,987.0	2,038.7	6,447.9	3,179.7	2,140.6	-1,039.2	67.3%	101.9	5.0%	33.2%
სხვა ხარჯები	624.3	736.9	2,220.7	1,115.5	691.0	-424.5	61.9%	-45.9	-6.2%	31.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**572.4**	**705.0**	**3,881.3**	**1,334.2**	**901.0**	**-433.2**	**67.5%**	**195.9**	**27.8%**	**23.2%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**146.2**	**31.8**	**445.1**	**91.9**	**69.6**	**-22.2**	**75.8%**	**37.9**	**119.3%**	**15.6%**
ვალდებულებების კლება	**2,051.5**	**314.8**	**1,218.5**	**584.4**	**321.9**	**-262.5**	**55.1%**	**7.1**	**2.3%**	**26.4%**
საგარეო	2,019.8	302.0	1,175.6	559.5	309.3	-250.2	55.3%	7.3	2.4%	26.3%
საშინაო	31.7	12.9	42.9	24.9	12.6	-12.3	50.7%	-0.2	-1.7%	29.4%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / – გამოყენება)	**-80.9**	**-15.4**	**34.1**	**-8.8**	**782.8**	**748.7**		**798.3**		

* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 4 თვის შესრულება	2022 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 4 თვის შესრულება	2023 წლის 4 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 4 თვის შესრულება / 2022 წლის 4 თვის შესრულება		2023 წლის 4 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსავლები	**3,844.2**	**5,044.6**	**17,619.9**	**8,518.5**	**6,352.6**	**-2,165.9**	**74.6%**	**1,308.0**	**25.9%**	**36.1%**
გადასახადები	3,440.2	4,675.0	16,290.4	7,735.9	5,507.5	-2,228.4	71.2%	832.5	17.8%	33.8%
გრანტები	210.1	181.1	279.6	122.3	125.3	3.0	102.4%	-55.8	-30.8%	44.8%
სხვა შემოსავლები	193.9	188.5	1,050.0	660.3	719.8	59.5	109.0%	531.3	281.9%	68.5%
ხარჯები	**4,340.9**	**4,622.4**	**16,335.2**	**7,991.5**	**5,109.0**	**-2,882.5**	**63.9%**	**486.6**	**10.5%**	**31.3%**
შრომის ანაზღაურება	542.4	579.8	2,236.7	1,112.1	681.0	-431.1	61.2%	101.2	17.4%	30.4%
საქონელი და მომსახურება	482.8	569.0	2,025.5	1,034.3	601.9	-432.4	58.2%	32.9	5.8%	29.7%
პროცენტი	292.0	243.8	1,201.0	564.6	395.2	-169.5	70.0%	151.3	62.1%	32.9%
სუბსიდიები	224.3	228.1	927.6	440.7	287.4	-153.3	65.2%	59.4	26.0%	31.0%
გრანტები	188.1	226.0	1,275.8	544.6	312.0	-232.6	57.3%	85.9	38.0%	24.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,987.0	2,038.7	6,447.9	3,179.7	2,140.6	-1,039.2	67.3%	101.9	5.0%	33.2%
სხვა ხარჯები	624.3	736.9	2,220.7	1,115.5	691.0	-424.5	61.9%	-45.9	-6.2%	31.1%
საოპერაციო სალდო	**-496.7**	**422.2**	**1,284.7**	**527.0**	**1,243.5**	**716.5**	**236.0%**	**821.4**	**194.6%**	**96.8%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**553.7**	**670.2**	**3,681.3**	**1,248.2**	**871.3**	**-376.9**	**69.8%**	**201.0**	**30.0%**	**23.7%**
ზრდა	572.4	705.0	3,881.3	1,334.2	901.0	-433.2	67.5%	195.9	27.8%	23.2%
კლება	18.7	34.8	200.0	86.0	29.7	-56.3	34.5%	-5.1	-14.7%	14.8%
მთლიანი სალდო	**-1,050.4**	**-248.1**	**-2,396.6**	**-721.1**	**372.3**	**1,093.4**	**-51.6%**	**620.3**	**-250.1%**	**-15.5%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**35.1**	**-12.7**	**29.2**	**-75.4**	**753.1**	**828.5**	**-999.1%**	**765.7**	**-6053.3%**	**2578.8%**
ზრდა	**146.2**	**31.8**	**479.2**	**91.9**	**852.5**	**760.6**	**927.8%**	**820.7**	**2584.4%**	**177.9%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	34.1	0.0	782.8	782.8		782.8		2295.5%
სესხები	146.2	31.8	445.1	91.9	68.5	-23.4	74.6%	36.8	115.8%	15.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	1.1		1.1		
კლება	**111.1**	**44.4**	**450.0**	**167.3**	**99.4**	**-67.9**	**59.4%**	**55.0**	**123.8%**	**22.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	80.9	15.4	0.0	8.8	0.0	-8.8	0.0%	-15.4	-100.0%	
სესხები	30.3	28.2	450.0	158.5	99.4	-59.1	62.7%	71.2	252.4%	22.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.8	0.0	0.0	0.0	0.0		-0.8	-100.0%	
ვალდებულებების ცვლილება	**1,085.5**	**235.4**	**2,425.8**	**645.8**	**380.8**	**-264.9**	**59.0%**	**145.4**	**61.8%**	**15.7%**
ზრდა	**3,136.9**	**550.2**	**3,644.3**	**1,230.2**	**702.8**	**-527.4**	**57.1%**	**152.6**	**27.7%**	**19.3%**
საშინაო	-294.8	106.8	1,400.0	700.0	272.4	-427.6	38.9%	165.6	155.0%	19.5%
საგარეო	3,431.8	443.4	2,244.3	530.2	430.4	-99.8	81.2%	-13.0	-2.9%	19.2%
კლება	**2,051.5**	**314.8**	**1,218.5**	**584.4**	**321.9**	**-262.5**	**55.1%**	**7.1**	**2.3%**	**26.4%**
საშინაო	31.7	12.9	42.9	24.9	12.6	-12.3	50.7%	-0.2	-1.7%	29.4%
საგარეო	2,019.8	302.0	1,175.6	559.5	309.3	-250.2	55.3%	7.3	2.4%	26.3%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		**0.0**		